თანამედროვე ტენდენციები ქართულ ქორეოგრაფიაში - პრობლემები და პერსპექტივები

კაცობრიობა იმყოფება ცივილიზაციის გარდამავალ პერიოდში და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გააზრება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების თვალსაწიერიდან, მნიშვნელოვანი ამოცანაა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გზების ძიებაში, ვინაიდან ჩვენს ეპოქას არაერთი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს.

21–ე საუკუნის ძირითადი გლობალური ტენდენციები კარგად არის ცნობილი: უახლესი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ბაზრების "გახსნა" და პროდუქტების/სერვისების თავისუფალი მიმოქცევა, ადამიანებსა და ჯგუფებს შორის კომუნიკაციის გაადვილება-გააქტიურება, საზოგადოებების მზარდი ინტერ და მულტიკულტურულობა, რაც თავის მხრივ, იწვევს ქვეყნებს შორის ერთმანეთზე გავლენის ხარისხის მუდმივ ზრდას. გლობალიზაცია, როგორც შეუქცევადი პროცესი, ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ხელოვნების დარგებს და მათ შორის ქორეოგრაფიას.

გლობალიზაცია მიისწრაფის ძირითადი ტექნოლოგიური საშუალებებით მსოფლიოს ინტეგრაციისაკენ. ეს პროცესი მოიცავს როგორც დიდ, ასევე მცირე სახელმწიფოებსა და კულტურებს. იგი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, ერების კულტურულ და ცნობად კავშირს თავის ისტორიულ ფესვებთან (ჯაფარიძე 2004:1).

ამ ფონზე განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს კითხვები - რა არის ხელოვნება: ადამიანის ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლება თუ გლობალური ბაზრის მხოლოდ ერთ–ერთი სეგმენტი/პროდუქტი? რა როლი აკისრია ხელოვნებას თანამედროვე რეალობაში? უპირისპირდება თუ არა ხელოვნების ესთეტიკური და სოციალური განზომილებები ერთმანეთს? რა სურათია ამ მხრივ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში?

ამ საკითხების ამოსახსნელად პრიორიტეტული უნდა გახდეს თანამედროვე ადამიანის, ღირებულებებისა და კულტურის პრობლემების გააზრება.

თვითმყოფადი კულტურის წარმომადგენლები ცნობიერად თუ არაცნობიერად გრძნობენ და მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ ჰომოგენიზაციას მოჰყვება გვერდითი მოქმედებები, რაც უწინარესად მათი ტრადიციების, კულტურის, ცხოვრების წესის შეცვლას იწვევს.

წარსულის კულტურა ყალიბდებოდა ქვეყნის, მოსახლეობის საერთო ინტერესებზე, ტრადიციებზე, ისტორიულ გამოცდილებაზე, ზოგ შემთხვევაში, მითებზე დაყრდნობით. თითოეული ერისათვის დამახასიათებელი ფასეულობანი, სიმბოლოები, ტრადიციები, მეხსიერება, მემკვიდრეობით გადაეცემოდა შემდეგ თაობებს და იქმნებოდა ღრმა ფესვების მქონე, მყარი, სპეციფიკური, თითოეული ერისათვის დამახასიათებლი, თვითმყოფადი კულტურა, რომელიც გამოარჩევდა რომელიმე ერს სხვა ერისაგან.

დღევანდელი გლობალური კულტურა კი, სულ სხვაგვარ სურათს ხატავს. კოსმოპოლიტური კულტურა ვრცელდება მსოფლიოს სხავადასხვა ქვეყნებში და მისი ექსტრაპოლაცია მსოფლიოს მასშტაბით არ იზღუდება კონკრეტული სახელმწიფო საზღვრებით. რაც მთავარია, მისი ნეგატიური მახასიათებლების თვალსაზრისით, იგი მოკლებულია ყოველგვარ ტრადიციას და ფასეულობებს და ნეიტრალურია ქვეყნის, ერის, ფასეულობებისა და ტრადიციების მიმართ (ნიკოლაიშვილი 2004:8). მიიჩნევა, რომ გლობალიზაციის პროცესები კულტურის მეხსიერების წყვეტას განაპირობებს.

ამდენად, ტრადიციულ ღირებულებათა კრიზისი გლობალიზაციის ეპოქაში ობიექტურად იწვევს ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის პოზიციების მნიშვნელოვნად დასუსტებას, რასაც თვალნათლივ გრძნობენ ქართული ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლებიც და ხშირად გულისტკივილს გამოთქვამენ.

თანამედროვე დროში, როდესაც კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად ერთგვარი მსოფლიო მასკულტურა ყალიბდება, ბუნებრივია, რომ მისი გავლენა აღწევს ქართულ ქორეოგრაფიამდეც. ტრადიციული ცეკვების ანსამბლები დროდადრო ქართული ფოლკლორული ცეკვების სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, რასაც ხშირად ტრადიციებზე შეტევად აღიქვამენ.

ქორეოგრაფია ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, შესაბამისად, მისი გავლენაც ადამიანებზე საკმაოდ დიდია. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება და ადამიანი თანაბრად ზემოქმედებენ ერთმანეთზე, რადგან ადამიანი, რომელიც ქმნის ხელოვნების ნიმუშს და ამით გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე, თავადვე იმყოფება მის ქვეყანაში თუ მსოფლიოში არსებული სოციალურ-კულტურული გავლენის ქვეშ.

უფრო ნათლად რომ ავხსნათ, თანამედროვე ქართული ქორეოგრაფიული ნაწარმოების შემქმნელი ავტორი, არის სწორედ იმ ქართული საზოგადოების ნაწილი, რომელშიც ასე ძირფესვიანად იჭრება დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის თანმდევი პროცესები და მიმდინარეობები.

აზროვნებისა და ხედვების სხვადასხვაობა ქართულ რეალობაში დღევანდელი ხელოვნების მრავალმნიშვნელოვან და კრებით სურათს ქმნის ქორეოგრაფიაში. კლასიკური და ტრადიციული ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების გვერდით, რომელიც გარკვეულ „ჩარჩოებშია„ მოქცეული და მხატვრულ კანონებსა და წესებს ემორჩილება, ფეხს იკიდებს თანამედროვე მიმდინარეობები, სადაც შემოქმედი სრულებით თავისუფალია ყოველგვარი ტაბუსგან. ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირია ისეთი მცდელობები, როდესაც ხელოვანები ტრადიციების რეინტერპრეტაციას, ფოლკლორთან რომელიმე თანამედროვე მიმდინარეობის სინთეზს ახდენენ.

ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ (13 იანვარს), ქართული ნაციონალური ბალეტის („სუხიშვილების“) ანსამბლმა კლუბ „რესპუბლიკაში“ შეასრულა ქორეოგრაფიული ნომერი, სადაც ქართული ფოლკლორული ცეკვის ელემენტები შერწყმულია იმ თავისუფალ პლასტიკასთან, რომლებსაც, როგორც წესი, ელექტრონულ მუსიკაზე ასრულებენ. აღნიშნულმა, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, თუმცა ეს ჩვენი მსჯელობის საგანს ამ ეტაპზე არ წარმოადგენს. კლუბური მუსიკა და ცხოვრების სტილი, ქლაბინგი და ელექტრონული მუსიკა, თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და ამდენად, ჩვენი თანამედროვე კულტურის ნაწილი.

თუ ქორეოგრაფიის ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ სწორედ ფოლკლორულ ცეკვაზე შეიქმნა თავის დროზე სხადასხვა ჟანრული მიმდინარეობები. ფოლკლორი არის და იქნება ნებისმიერი ახალი მიმდინარეობის საძირკველი, რადგან მისი ქვედანაშრევი ფოლკლორიდან იღებს საფუძველს.

ამ მოცემულობაზე დაყრდნობით აუცილებელია თვალი გადავავლოთ მსოფლიო ქორეოგრაფიის ისტორიასა და მის განვითარებას, რადგან დრო, ისტორია და მეხსიერება - ხელოვნებაში გზის ძიება-გაკვალვისათვის ყოველთვის მთავარი ქრონოგრაფიული სივრცე იყო.

ბალეტმა, რომლის ფესვები სწორედ რომ ხალხურ ცეკვაშია, ჩამოყალიბება მე-16 საუკუნიდან დაიწყო ევროპაში. ის ჩაისახა აღორძინების ეპოქაში, იტალიაში, თავდაპირველად როგორც საცეკვაო სცენა მუსიკალური წარმოდგენისათვის. აქედან იგი საფრანგეთში გავრცელდა და სამეფო დღესასწაულების მდიდრულ სანახაობად გადაიქცა. პირველი ბალეტების („დედოფლის კომედიური ბალეტი“, 1581) მუსიკალურ საფუძველს წარმოადგენდა ხალხური და სამეფო კარის ცეკვები. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში იქმნება ახალი თეატრალური ჟანრები, როგორებიცაა კომედია-ბალეტი, ოპერა-ბალეტი, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა საბალეტო მუსიკას და მის დრამატიზებას. მაგრამ სცენური ხელოვნების დამოუკიდებელ სახედ ბალეტი მე-

18 საუკუნის მეორე ნახევრიდან გვევლინება ცნობილი ფრანგი ბალეტმაისტერის ჟ.ჟ.ნოვერის წყალობით.

ბალეტის შემდგომი განვითარება რომანტიზმის ეპოქაზე მოდის. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ფრანგმა ბალერინამ კამარგომ დაამოკლა ქვედაბოლო და უარი თქვა ქუსლებიან ფეხსაცმელზე. ამან საბალეტო კოსტიუმი მსუბუქი და თავისუფალი გახადა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ცეკვის ტექნიკის სწრაფ განვითარებას. რუსეთის იმპერიაში ბალეტი შემოსვლას ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს იწყებს, საიდანაც ის საქართველოშიც გავრცელდა.

მე-19 საუკუნეში რომანტიკული და სამეფო ბალეტები უკვე ორმოქმედებიან სპექტაკლებს მართავდნენ, სადაც პუანტებზე შემდგარ ქალთა მოძრაობებს ტექნიკურობასთან ერთად ლირიული გამომსახველობაც შეერწყა. ამ პერიოდში უკვე იკვეთება ევროპული მითოლოგიური სიუჟეტები, თეატრალური აზროვნება, პანტომიმა და სტილიზირებული ფოლკლორი, რომელიც ინტეგრირებული იყო ბალეტთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მე-20 ს. ცნობილი ქართველი ბალეტმაისტერის, ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედება.

სტილიზებული ფოლკლორის ბალეტთან ინტეგრაციამ წარმოშვა ტრადიციული ქორეოგრაფიის სასცენო ვარიანტების შექმნის შესაძლებლობა, რასაც ჩვენ სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიას ვუწოდებთ და რაც ქართულ რეალობაში დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ტრადიციულად, ევროპული და ამერიკული თეატრალური ცეკვები ბალეტზე იყო ორიენტირებული. თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ცეკვის წრეებში მოდური გახდა კლასიკური ტრადიციულობის წინააღმდეგ მეამბოხე მიმდინარეობები. პირველი ორი ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს კლასიკურ ბალეტში იყვნენ: აისიდორა დუნკანი და რუთ სან დენი. ამ პერიოდიდან ფეხს იკიდებს და გავრცელებას ჰპოვებს ახალგაზრდებში მრავალრიცხოვანი სტილის ქორეოგრაფიული სკოლები. ეს პერიოდი ხასიათდება როგორც კლასიკური მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხედვების ნაზავი. ამ პერიოდის მთავარი წარმომადგენლები, რომლებმაც მხატვრული შინაარსის ინოვაციებში დიდი ნაბიჯი გადადგეს, იყვნენ: სერგეი დიაგილევი, მიხეილ ფოკინი, ჯორჯ ბალანჩინი, მარია რაბერტი, მორის ბეჟარტი, ჟირი კირიანი, ჯონ კრანიკო, უილიამ ფორსიეტი, ენეტ მაკ მილანი, მატების ეკი, ნაჩო დუოტო, ჟან კრისტოფ მაილიოტი, სილვი გულიმი, რასელ მალფანანტი და სხვანი.

ქორეოლოგები ვარაუდობენ, რომ **თანამედროვე ცეკვა (მოდერნი)** მე-20 საუკუნიდან იკიდებს ფეხს და გრძელდება 1950 წლამდე. მისი სამშობლოა ევროპა (განსაკუთრებით გერმანია)

და შეერთებული შტატები. ის წარმოიშვა სოციალურ ფაქტორებთან, ახალ იდეურ შეხედულებებთან და მუსიკალურ მიმართულებებთან ერთად, რომლებიც იმ პერიოდში დასავლეთში მიმდინარეობდა.

ექსპერტები თანამედროვე (მოდერნ) ცეკვას განსაზღვრავენ და ხედავენ, როგორც ფორმალიზმისა და ჩვეულებრივი ქორეოგრაფიის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტის ერთგვარ ხერხს. ცნობილმა შემოქმედებმა - ფრანსუა დელსარტმა, რუდოლფ ლაბანმა, მერი უიგმანმა, პინა ბაუშმა და სხვებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს თანამედროვე საცეკვაო მოდერნ-ქორეოგრაფიის კონცეფციის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ საბალეტო და მოდერნ მიმართულების ისტორია გახდა შემდეგი თანამედროვე მიმდინარეობის - ქონტემფორარის ჩასახვის წინაპირობა.

ტრადიციული და მოდერნისტული ხელოვნების ნარატივებმა წარმოშვა დღეისთვის არსებული სპეციფიური ხასიათის contemporary art –ის მოცემულობა.

თანამედროვე ქორეოგრაფია - **ქონტემფორარი** - მოიცავს პერიოდს 1950 წლიდან დღემდე, რომლის ძირითადი მახასიათებელია მოძრაობის ბუნებრივი ხაზები, მსუბუქი (რბილი) გადაადგილება და სხეულის ენერგია. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ცეკვის ამ მიმართულებას, რომლისთვისაც გამოიყენება ნებისმიერი მუსიკა, არ გააჩნია საზღვრები მოძრაობის ახალი სტილის შესაქმნელად. ის აძლევს შემსრულებელს საზღვრების გარღვევის საშუალებას თავისი შინაგანი გრძნობების გამოსახატავად. მისი შთაგონების წყარო არის ადამიანის შინაგანი სამყაროს ჟესტიკულაციით გამოხატვის კონცეფციის შექმნა.

მსოფლიო ქორეოგრაფიის განვითარების ისტორიის კვალზე, ქრონოლოგიურად, ქართული ქორეოგრაფიის განვითარება თითქმის საუკუნით ჩამორჩება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს. ეს ბუნებრივიც არის პოსტ-სოციალისტური ქვეყნების სახელოვნებო სივრცისათვის. ქონთემფორარი, რომელიც მე-20 საუკუნის 50 წლებში ისახება, მხოლოდ ახლა იწყებს დღევანდელ საქართველოში გავრცელებას; მოდერნი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ევროპაში, ჩვენთან სულ რაღაც რამდენიმე ათეული წელია რაც გვხვდება.

საქართველოში მაყურებელი ძირთადად გაზრდილია კლასიკურ და ეროვნულ ტრადიციულ რეპერტუარზე. თუმცა ნეოკლასიკური და ავანგარდული საბალეტო დადგმები საქართველოში ჯერ კიდევ მაშინ ხორციელდებოდა, როდესაც საბჭოთა კავშირში ნაკლებად ან საერთოდ აკრძალულიც კი იყო (გოგი ალექსიძე).

გერმანული ექსპრესიონისტული ცეკვის დამაარსებლის, კურტ იოსის გამორჩეული მოსწავლის, პინა ბაუშის ქარიზმატულმა ქორეოგრაფიამ, როგორც ჩანს უდიდესი გავლენა მოახდინა ილიკო სუხიშვილზე (უმცროსზე). თუ მის ქორეოგრაფიულ პროექტს „რამიშვილებს“ დავუკვირდებით, აშკარად შესამჩნევია, რომ დამდგმელმა, ქართული ფოლკლორის სტილიზირებულ ელემენტებს მოდერნიზმით, ამერიკული ჯაზითა და 60-იან წლების მოდური ”ლივინგ თეატრით“ შეზავებული პინა ბაუშისეული ხელწერა შეუთავსა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობების გავლენა ეტყობა მთელ მის შემოქმედებას, რომელიც თან გასდევს მის ახალ სასცენო-ხალხურ ქართულ პროგრამას, რაც მის თანამედროვე ხელწერას ქმნის.

მოდერნიზმი ხალხურ სასცენო შემოქმედებაში ფეხს იკიდებს არაპროფესიონალური ქორეოგრაფიული დასების შემოქმედებაშიც. იქმნება ახალი თანამედროვე ქორეოგრაფიული ნომრები და სპექტაკლები.

თანამედროვე ქორეოგრაფიაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ქართველი ქორეოგრაფის, მარიამ ალექსიძის ორიგინალური ფორმით გამორჩეული თანამედროვე საბალეტო წარმოდგენები, რომელიც საქართველოში 2008 წლიდან იწყებს სადადგმო მოღვაწეობას.